



ქალთა მიმართ ძალადობის
და ოჯახში ძალადობის
წინააღმდეგ ბრძოლისა
და მსხვერპლთა
(დაზარალებულთა)
დასაცავად გასატარებელ
ღონისძიებათა 2018-2020
წლების

სამოქმედო გეგმის
მონიტორინგის წლიური
ანგარიში

2018-2020

სარჩევნი

შესავალი.....**3**

მიზანი I. ქვეყნის კანონმდებლობა და პოლიტიკა ეფექტიანია და პასუხობს მსხვერპლთა/ დაზარალებულთა საჭიროებებს;..... **5**

მიზანი II. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს (დაზარალებულებს) ხელი მიუწვდებათ და სარგებლობენ დაცვისა და დახმარების ხარისხიანი მომსახურებებით;..... **9**

მიზანი III. საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ;.....**24**

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის (2018-2020) 2019 წლის შესრულების ანგარიშს, რომელიც შემუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს მიერ და განკუთვნილია, როგორც სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებისათვის, ასევე საქართველოს მთავრობისათვის და წარმოადგენს ინფორმაციულ დოკუმენტს საქართველოს სამინისტროებისა და სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის.

ანგარიში მოიცავს 2019 წლის ბოლომდე გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციას. მასში მოცემულია სამოქმედო გეგმის საფუძველზე განსახორციელებელი აქტივობები, ამოცანები, მათი შესრულების ინდიკატორები, მოცემულია სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი უწყებების და პარტნიორი უწყებების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, ასევე მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. დოკუმენტით გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის №629 დადგენილებით დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს მოთხოვნები სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავებასთან დაკავშირებით, დაცულია თანმიმდევრობა და მისი შემუშავების წესი.

ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული ის ცალკეული საქმიანობები, რომლებიც შესაბამისობაშია „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილებასთან. აღნიშნული ანგარიში ასახავს იმ თანმიმდევრულ პოლიტიკას, რომლის საბოლოო მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. ანგარიშში წარმოდგენილი განხორციელებული რეფორმები, მათი ხელშესახები სამართლებრივი და ინსტიტუციური ცვლილებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს, რაც ამ მიმართულებით განგრძობადი განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა (2018-2020) დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 აპრილის №175 დადგენილებით, რომლითაც განისაზღვრა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელი ღონისძიებები და პასუხისმგებელ უწყებათა უფლებამოსილების ფარგლები. სამოქმედო გეგმით გათვალისწინე-

ბული აქტივობების შესრულება და მიღწეული შედეგების შენარჩუნება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამართლებრივი ფასეულობებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს სტანდარტების შესაბამისად დაცვას. აღნიშნული ანგარიშის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ განსაზღვრული ამოცანების მიღწევის ფორმულირება, არამედ ისეთი პრობლემების გადაჭრა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუქცევად ხასიათს შესძენდა.

ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული სამი პრიორიტეტული მიმართულების შესრულების სტატუსი შეიძლება განისაზღვროს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით: პირველ რიგში, დასახული ამოცანის ფარგლებში მოქცეული აქტივობების სტატუსების რაოდენობრივი ან პროცენტული მაჩვენებელი შესრულების ინდიკატორების მიხედვით; აქტივობების განხორცი-

ელებისას გამოკვეთილი კონკრეტული სტატისტიკური პროგრესის მაჩვენებლის მიხედვით;

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის (2018-2020) 2019 წლის შესრულების ანგარიშში, მიზნების შესაბამისად მიღწეული პროგრესი მიემართება ამოცანებს, რომლებიც გაერთიანებულია შემდეგი პრიორიტეტების ჩარჩოში: ქვეყნის კანონმდებლობის და პოლიტიკის ეფექტიანობა და მსხვერპლთა/დაზარალებულთა საჭიროებებზე მორგება, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის დაცვისა და დახმარების ხარისხიანი მომსახურების ხელმისაწვდომობისა და სარგებლობის უზრუნველყოფა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრების ხელშეწყობა.

მიზანი I. ქვეყნის კანონმდებლობა და პოლიტიკა ეფექტიანია და პასუხობს მსხვერპლთა/დაზარალებულთა საჭიროებებს;

ინდიკატორი 1.1. მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეკომენდაციების რაოდენობა, რომელიც ასახულია ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში;

საბაზისო: 0 (2017);

სამიზნე: 50%;

(**წყარო:** ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში);

ინდიკატორი 1.2. რეციდივის მაჩვენებელი;

საბაზისო: განისაზღვროს 2018 წელს;

სამიზნე: შემცირება 5 %;

(**წყარო:** განისაზღვროს 2018 წელს).

ამოცანა: 1.1 კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან;

ამოცანის ინდიკატორი: ინდიკატორი 1.1.ა სტამბოლის კონვენციის ნორმების %, რომელიც ასახულია კანონმდებლობაში;

საბაზისო: განისაზღვროს 2018 წელს;

სამიზნე: 90 %;

წყარო: სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;

ინდიკატორი 1.1.ბ. გაეროს სპეციალური მომხსენებლის ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ საქართველოს ანგარიშში ასახული შესრულებული რეკომენდაციების %;

საბაზისო: განისაზღვროს 2018 წელს;

სამიზნე: 90 %;

(**წყარო:** გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია);

ინდიკატორი 1.1.გ. შექმნილი სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტი და სტატისტიკა ხელმისაწვდომია;

საბაზისო: არ არსებობს (2017);

სამიზნე: ერთიანი სტანდარტი შექმნილია, სტატისტიკა ხელმისაწვდომია;

წყარო: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

საქმიანობა 1.1.3 სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტის შექმნა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უზენაეს სასამართლოს გაუნია დახმარება ზოგადი რეკომენდაციების გაზიარებით ერთიანი სტანდარტის შემუშავებისა და ფუნქციონირების შესახებ.

საქმიანობა 1.1.4 სტატისტიკის წარმოება და მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს საერთო სასამართლოები;

პარტნიორი უწყება: სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111 და 1261 მუხლებით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე სტატისტიკას აწარმოებს ანალიტიკური სამმართველო, ხოლო ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე სტატისტიკის აღრიცხვას, საქართველოს გენერალური პროკურორის

ბრძანების საფუძველზე, ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო. 2019 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები და მომზადდა შესაბამისი ანგარიში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს გენერალური პროკურატურის ვებ-გვერდზე. ანგარიში ასახავს 2019 წლის სეგრეგირებულ სტატისტიკურ მონაცემებს, ინფორმაციას დაწყებული გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ, პროკურატურის მიღწევებს, გამონწვევებსა და გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის სამომავლო ნაბიჯებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი პერიოდულად აქვეყნებს სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ოჯახში ძალადობის სტატისტიკას. შემაკავებელი ორდერების სტატისტიკის დამუშავება მიმდინარეობს ჩაშლილი მონაცემების მიხედვით (რეგიონი, სქესი, მსხვერპლი, მოძალადე). სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე პროაქტიულად ქვეყნდება რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკაც. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი დანაყოფი, დაინტერესებულ მხარეს, კანონით განსაზღვრულ ვადაში, აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებზე.

საქმიანობა 1.2.1 მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის შემუშავება არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ შემუშავდა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმა, რომლის იმპლემენტაცია იგეგმება სამომავლოდ. აღნიშნული პლატფორმის ფარგლებში, გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაციის პროცესში, ადგილობრივი მექანიზმების მხარდაჭერას და რეგიონების მიხედვით გენდერული თანასწორობის მდგომარეობის თაობაზე ანგარიშების გაზიარებას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უზრუნველყოფს.

საქმიანობა 1.2.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე არსებული კანონმდებლობის, პოლიტიკის დოკუმენტებისა და პროგრამების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება და წარდგენა მუნიციპალიტეტებისათვის;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით შემუშავდა გზამკვლევი - „პრაქტიკული რჩევები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების პროცესში“, რომელშიც მიმოხილულია ქალთა უფლებების დაცვის, მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხები.

საქმიანობა 1.2.3 პოლიტიკის დოკუმენტებსა და პროგრამებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხთა ინტეგრირების მიზნით მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

მუნიციპალიტეტების პოლიტიკის დოკუმენტებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხების ასახვის თაობაზე საუბარია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით შექმნილ გზამკვლევზე „პრაქტიკული რჩევები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების პროცესში“.

მიზანი II. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს (დაზარალებულებს) ხელი მიუწვდებათ და სარბებლობენ დაცვისა და დახმარების ხარისხიანი მომსახურებით;

საქმიანობა 1.2.1 მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის შემუშავება არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ამოცანა: 2.1 სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობები გაზრდილია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვისა და დახმარებისთვის;

“ინდიკატორი 2.1.ა: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სპეციალიზებული კადრების ან/და ერთეულის არსებობა;

საბაზისო: 2 (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო);

სამიზნე: 3;

(წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია).

ინდიკატორი 2.1.ბ: ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის შესახებ, მათ უფლებამოსილებაში შემავალი საკითხების თაობაზე, შიდა ინსტრუქციების რაოდენობა;

საბაზისო: 0 (2017);

სამიზნე: 5 (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო);

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

ინდიკატორი 2.1.გ: გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა;

საბაზისო: 3921;
(2017 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით) = 100%;

სამიზნე: ზრდა 5%;

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქმიანობა 2.1.1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში (სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფარგლებში) მოქმედი თავშესაფრებისა, კრიზისული ცენტრების და ცხელი ხაზის მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, რაც მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფონდისთვის გამოყოფილ ასიგნებებში აღნიშნული კომპონენტების გათვალისწინებას;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფარგლებში ძალადობის (მათ შორის: ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ძალადობის) მსხვერპლთათვის მოქმედებს 5 თავშესაფარი და 5 კრიზისული ცენტრი, ასევე, ფუნქციონირებს 24 საათიანი საკონსულტაციო ცხელი ხაზი (116 006). მათი მდგრადობა და შეუფერხებელი ფუნქციონირება უზრუნველყოფილია ფონდისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებით.

საქმიანობა 2.1.2 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის პროგრამების ფარგლებში სექსუალურ ძალადობის მსხვერპლთა სათანადო მომსახურების უზრუნველყოფა;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

2019 წლის რეფერალური მომსახურების პროგრამის ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა პოსტკოიტალური კონტრაცეფციით/სგგდ ტესტირებითა და მკურნალობით უზრუნველყოფა.

საქმიანობა 2.1.3. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

“სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე” სააგენტოს დირექტორის ბრძანებაში, 2019 წლის 25 აპრილს შევიდა ცვლილება (N04-881/ო), რომლის საფუძველზეც ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელები უფრო აქტიურად არიან ჩართულები სოციალური მუშაკების მუშაობაში. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრებსა და რაიონულ განყოფილებათა უმრავლესობაში მოეწყო დამოუკიდებელი კონფიდენციალური გასაუბრების ოთახები. სააგენტოს 39 რაიონულ განყოფილებაში დამონტაჟდა საგანგაშო დაცვის ღილაკები (სოციალური მუშაკების მოთხოვნით). სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის ხუთივე რაიონში მიმაგრებულია თითო-თითო ავტომანქანა, ხოლო რეგიონებში განაწილებულია 12 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება. ნებისმიერი სხვა საჭიროების შემთხვევაში, დღე-ღამის განმავლობაში, ყველა ქალაქსა და რაიონში მომსახურება ხორციელდება სააგენტოს სარგებლობაში არსებული მორიგე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით. სოციალური მუშაკების ხელფასების ზრდა იგეგმება “სოციალური მუშაობის შესახებ” საქართველოს კანონის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2020 წლიდან მათი ანაზღაურება განისაზღვრა 1200 ლარით.

საქმიანობა 2.1.4 ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკთა რაოდენობის ზრდა 10-30%-ით;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

2019 წელს განხორციელდა სოციალურ მუშაკთა რაოდენობის გაზრდა; 2019 წლის 1 იანვრიდან სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს საშტატო ნუსხით გათვალისწინებული სოციალური მუშაკების რაოდენობა გაიზარდა 30 სოციალური მუშაკის საშტატო ერთეულით. 2019 წლის 13 მაისიდან სააგენტოს საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ფსიქოლოგების არსებულ რაოდენობას დაემატა ფსიქოლოგის სამი საშტატო ერთეული (გლდანი-ნაძალადევის სერვის ცენტრი, აჭარის ა/რ ფილიალი, იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი). არსებული ცვლილებების გათვალისწინებით, სააგენტოს საშტატო ნუსხით დამტკიცებულია ფსიქოლოგის 14, უფროსი სოციალური მუშაკის 21 და სოციალური მუშაკის 250 საშტატო ერთეული. გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 აპრილის № 7 ოქმის შესაბამისად, დაემატა 20 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (სოციალური მუშაკი) საპროცესო წარმომადგენლობისა და რეინტეგრაციის პროცედურების განხორციელების მიზნით.

საქმიანობა 2.1.5 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) იდენტიფიცირების მექანიზმების შემუშავება/გაუმჯობესება;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში ა/ო „ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა ძალადობის მსხვერპლი ქალების იდენტიფიცირების სკრინინგ კითხვარი, რომელმაც პილოტირება გაიარა ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში და პრობაციის ბიუროებში. ინსტრუმენტი დაინერგა პენიტენციურ სისტემაში.

იმავე თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა ძალადობის მსხვერპლი ქალების სამოტივაციო პროგრამა „ქალგა“, რომელიც პილოტირდა ქალთა N5 დაწესებულებაში, რის შემდეგაც გადამზადდნენ სპეციალური პენიტენციური სამსახურის და პრობაციის სისტემის ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები და სამოტივაციო პროგრამა „ქალგა“ დაინერგა ორივე სისტემაში. 2019 წელს ქალთა სამოტივაციო პროგრამაში „ქალგა“ ჩართული იყო 10 მსჯავრდებული ქალი.

საქმიანობა 2.1.6 სატრენინგო მოდულების მომზადება პროფესიული უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად სოციალური მუშაკებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, სოციალური აგენტებისთვის, მასწავლებლებისთვის, მანდატურის სამსახურისთვის, ჯანდაცვის მუშაკებისათვის, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებისათვის;

შესრულების სტატუსი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური - არ დაწყებულა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - განხორციელდა; სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო იყენებს 2016 წელს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მომზადებულ და 2019 წელს გადამუშავებულ მოდულს „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“, რომელიც მოიცავს საკითხებს ოჯახურ და ქალთა მიმართ ძალადობაზე.

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური 2019 წლის დასაწყისიდან საქართველოს 11 საჯარო სკოლაში ახორციელებს ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ბულინგისა და ნივთიერებების ავადმომხარების პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით საპილოტე პროგრამას. პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს აღნიშნული სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლების, პედაგოგების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების გადამზადება ისეთ საკითხებზე, როგორცაა კომუნიკაციის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის დამახასიათებელი ქცევითი და ემოციური პრობლემები და მათზე რეაგირების ეფექტური სტრატეგიები, ძალადობრივი ქცევის ამოცნობა, რეაგირება და პრევენცია, ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების საბაზისო ნიშნები, დევიაციური/დესტრუქციული ქცევის ამოცნობა, ჩამოყალიბების საფრთხე და პრევენცია. ასევე, ისინი გადამზადდნენ ტექნოლოგიური ადიქციისა და კიბერ ძალადობის საკითხებზე.

სკოლებში თანასწორთა გაძლიერების მიზნით, შეიქმნა „თანასწორ მხარდამჭერთა“ მოდული, რომელშიც გადამზადდნენ საპილოტე სკოლის პედაგოგები. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, გადამზადდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები. 2019 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით, მანდატურის სამსახურის მიერ, განხორციელდა ძალადობის პრევენციისა და დესტრუქციული ქცევის ამოცნობის მოდულის გენდერული იმპლიკაცია.

2019 წლის 24-25 დეკემბერს, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ორგანიზებით, 10 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს ჩაუტარდა ტრენინგი

„დამაზიანებელი სექსუალური ქცევა ბავშვებსა და მოზარდებში“.

2019 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა დაიწყო სასწავლო ცენტრის კონცეფციის პროექტზე მუშაობა, რომელიც დამტკიცდა და სასწავლო ცენტრი ამოქმედდა 2020 წლის 1-ელი იანვრიდან, შესაბამისად, 2020 წლის პირველ ნახევარში, სასწავლო ცენტრი შეეცდება სატრენინგო მოდულების შემუშავებას და 2020 წლის მეორე ნახევარში განხორციელდება სამსახურის იურისტების გადამზადება და დატრენინგება პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით.

2016-2017 წლებში ფონდის მიერ დონორი ორგანიზაციების (UNFPA, USAID, UNWOMEN) მხარდაჭერით, პროექტების ფარგლებში, შემუშავდა ტრენინგ მოდულები სხვადასხვა პროფესიული ჯგუფებისთვის: ა) ჯანდაცვის მუშაკებისთვის (UNFPA); ბ) სოციალური მუშაკებისთვის (USAID); გ) ფონდის თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრის ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკებისათვის - სექსუალური ძალადობის საკითხებზე. 2018-2019 წლებში აღნიშნული ტრენინგ-მოდულები გადაიხედა და დაიხვეწა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა ადვოკატთა სწავლება თემაზე: „ოჯახში მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები“. 2019 წელს ჯამში 13 ტრენინგი ჩატარდა.

საქმიანობა 2.1.7. პროფესიული უნარ ჩვევების გაძლიერება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის საკითხებზე: სოციალური მუშაკებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, სოციალური აგენტებისთვის, მასწავლებლებისთვის, მანდატურის სამსახურისთვის, ჯანდაცვის მუშაკებისათვის, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებისათვის;

შესრულების სტატუსი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - განხორციელდა; სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური - არ დაწყებულა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - განხორციელდა; სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი , სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვისა და დახმარების მიზნით, 2019 წელს, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით, ექსპერტების მიერ გადამზადდნენ შემდეგ საკითხებზე: ბულინგი სკოლაში (მოსწავლეებს შორის, მასწავლებლის მხრიდან, ოჯახში); მუშაობა ბულინგის შემთხვევებზე სხვადასხვა დონეზე; ბულინგი შშმ და სსსმ მოსწავლეებზე; ინტერვიუება და საუბარი სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან და მოზარდებთან; თერაპიული მუშაობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებსა და

მოზარდებზე; ბულინგი სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. UN WOMEN-მა უზრუნველყო მანდატურის სამსახურის მიერ შერჩეული საპილოტე სკოლების 22 წარმომადგენლის გადამზადება სკოლებში ძალადობის იდენტიფიცირების, მასზე რეაგირების საკითხებზე.

რაც შეეხება მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებას, 2018 წლიდან, „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ მოდულით, ტრენინგი გაიარა 6202 პედაგოგმა.

- 2018-2019 წლის განმავლობაში გადამზადდა 100-ზე მეტი ჯანდაცვის მუშაკი თბილისსა და კახეთის რეგიონში;
- 2019 წლის იანვარი-თებერვლის თვეში UNWOMEN-ის პროექტის „ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია“ ფარგლებში, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის (GASW) ორგანიზებით, თემაზე “ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერება“ თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრის სოციალური მუშაკებისთვის ჩატარდა ტრენინგი. დამსწრეთა რაოდენობა - 51;
- 2019 წლის 26 თებერვალი - 3 მარტი, „ოჯახში ძალადობის ჩამდენ იმ პირებთან მუშაობა, რომლებიც ვერ უმკლავდებიან აგრესიას და ვერ აკონტროლებენ სიბრაზეს“. ტრენინგი ჩატარეს Humandoc Foundation-ის (პოლონეთი) საქართველოში პარტნიორმა ორგანიზაციებმა, ასოციაცია “მერკური” და “ძდექი”. მონაწილეთა რაოდენობა - 6;
- 2019 წლის 12-13 ოქტომბერი, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UNWOMEN) მიერ ორგანიზებული ტრენინგი “მხარდაჭერის სერვისის მაძიებლის იდენტიფიცირების, რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტზე”. მონაწილეთა რაოდენობა - 27;
- 2016-2018 წლებში დატრენინგდა 300-მდე ჯანდაცვის მუშაკი, ხოლო 2019 წელს, მხარდამჭერი სუპერვიზიის შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო საპილოტე პროექტში ჩართულმა 200-მდე ჯანდაცვის მუშაკმა.

სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი „ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ადვოკატთა ცოდნის ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობის და გენდერის ნიშნით ძალადობის, ასევე ოჯახში ძალადობის საკითხებზე, არსსა და ფენომენზე; ასევე, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკითხებზე. განხილულ იქნა ქალთა მიმართ ძალადობის თაობაზე საკანონმდებლო სიახლეები, რომელიც კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად განხორციელდა.

საქმიანობა: 2.1.8 სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება/განზოგადება სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული დებულებების გამოყენების თაობაზე და რეკომენდაციების შემუშავება;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს უზენაესი სასამართლო;

პარტნიორი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ჩაატარა კვლევა სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად ადევნების სისხლისსამართლებრივი საფუძვლების შესახებ.¹

საქმიანობა: 2.1.9 სტამბოლის კონვენციის მიხედვით მოსამართლეების გადამზადება;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;

პარტნიორი უწყება: საქართველოს უზენაესი სასამართლო.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2019 წლის კურიკულუმის მიხედვით, გათვალისწინებულია მოქმედი მოსამართლეების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.²

საქმიანობა: 2.1.10 პროკურორთა სპეციალიზაციის გაძლიერება ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე (მათ შორის, წელიწადში არანაკლებ 4 ტრენინგი);

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გენერალური პროკურატურა.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ოჯახური დანაშაულის თემაზე სპეციალიზაციის კურსები ხორციელდება 2016 წლიდან, ხოლო 2019 წლის ბოლოსთვის სისტემაში სპეციალიზებულია 193 პროკურორი და გამომძიებელი. 2019 წელს გენდერის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ჩატარდა:

- 3 სპეციალიზაციის კურსი; სწავლება გაიარა 83-მა პროკურმა/გამომძიებელმა/მონწილამ და დაზარალებულის კოორდინატორმა;
- აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით სპეციალიზებული პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის - 2 ტრენინგი, გადამზადდა 47 მსმენელი;
- ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, პლატფორმის „HELP“ გამოყენებით სპეციალიზებული პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის - დისტანციური სასწავლო კურსი, სწავლება გაიარა 15-მა მსმენელმა;
- მულტისექტორული კოორდინაციის მნიშვნელობის თემაზე დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში - 2 სასწავლო აქტივობა, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც სახელმწიფო უწყებები, ასევე, სერვისის განმახორციელებელი ორგანიზაციები. შეხვედრაში პროკურატურის მხრიდან მონაწილეობას იღებდა 39 პირი (პროკურორი და გამომძიებელი);
- ერთიანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, მოსამართლეთა და პროკურორთა ერთობლივი სამუშაო შეხვედრის საფუძველზე - დამატებით განხორციელდა 2 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 28 პროკურორი. ტრენინგები ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელდა, სადაც სწავლებას საერთაშორისო ექსპერტი უძღვებოდა;

¹<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/adevneba.pdf>

²<https://www.hsoj.ge/uploads/judges2019.pdf>

- სასწავლო ვიზიტი შვედეთში, სადაც პროკურორები გაეცნენ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის კუთხით არსებულ გამოცდილებას;
- ქალთა მიმართ ძალადობის და გენდერის საკითხებზე - 5 სასწავლო აქტივობა, მონაწილეობდა 22 მსმენელი (პროკურორი, გამომძიებელი, მრჩეველი);
- სწავლება გაიარა სტაჟიორთა 2-მა ჯგუფმა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 38 სტაჟიორი.

საქმიანობა 2.1.11 პოლიციელთა სპეციალიზაციის გაძლიერება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე (მათ შორის, წელიწადში არანაკლებ 4 ტრენინგი);

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ოჯახში ძალადობის საკითხებზე გამომძიებელთა გადამზადების მიზნით, შემუშავდა სპეციალიზაციის ხუთდღიანი კურსი. აღნიშნული მოდულის მიხედვით, 2018-2019 წელს, ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის გამოძიების საკითხებზე ზემოაღნიშნული სპეციალური კურსი გაიარა 275-მდე გამომძიებელმა. ასევე, 2019 წელს, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ მექანიზმებზე სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, პოლიციელთა სწავლების მოკლე კურსი საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 300 პატრულ-ინსპექტორი და უბნის ინსპექტორი. 2019 წელს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სამართლებრივ მექანიზმებზე ტრენინგ კურსი გაიარა 125-მა მართლწესრიგის ოფიცერმა. 2019 წლის იანვარი - მარტის თვეში 600-ზე მეტი პატრულ-ინსპექტორი გადამზადდა შემთავსებელი ორდერების სრულყოფილად შევსების თაობაზე.

საქმიანობა 2.1.12 საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლებისთვის ოჯახური დანაშაულების შესახებ რეკომენდაციების განახლება საჭიროებისამებრ;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გენერალური პროკურატურა.

ოჯახში ძალადობის რეკომენდაციის შევსების მიზნით მომზადდა მცირე რეკომენდაცია/ მითითება ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შემთავსებელი ორდერების მონიტორინგის განხორციელების თაობაზე, რომლის ფარგლებში პროკურატურა მუდმივ რეჟიმში ახორციელებს შემთავსებელი ორდერების გამოცემის და გამოძიების დაწყების მონიტორინგს.

2019 წლის ივნისში შემუშავდა რეკომენდაცია „ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“, რომელშიც დეტალურად გაიწერა აღნიშნული დანაშაულის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინაპირობები. რეკომენდაცია შესასრულებლად გაეგზავნა პროკურატურის ყველა შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფს.

2019 წლის ბოლოს განახლდა 2017 წლის 22 აგვისტოს რეკომენდაცია „სისხლის სამართლის კოდექსის 111 და 1261 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ“.

საქმიანობა 2.1.13 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტების სათანადო კვალიფიკაცია, ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოების უზრუნველყოფისათვის სისხლის სამართლის საქმეების მუდმივი მონიტორინგი, ხარვეზების გამოვლენა და სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა. საქიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება ან განახლება;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი და ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო მუდმივად ახორციელებენ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეთა მონიტორინგს და ყოველწლიურად აანალიზებენ არსებულ მდგომარეობას. მონიტორინგის საფუძველზე იგეგმება რეკომენდაციების განახლება, პროკურორთა და გამოძიებელთა გადამზადების საქიროებების განსაზღვრა. მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება ექცევა გაჭიანურების გარეშე ტარდება თუ არა გამოძიება აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე, დროულად მიიღება თუ არა შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, აგრეთვე, სრულდება თუ არა სისხლის სამართლის კოდექსის 111 და 126 პრიმა მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ რეკომენდაცია. კერძოდ, ყურადღება ექცევა გამოძიების დროულად და სწორი კვალიფიკაციით დაწყებას, გამოძიების ჩატარების ხარისხს, საქირო საგამოძიებო მოქმედებების ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე ჩატარებას, დაზარალებულად ცნობისა და დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღების, გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთის საკითხებს. გარდა აღნიშნულისა, სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში, ამ კატეგორიის საქმეებზე ყურადღება ექცევა აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებას და საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის საკითხს. 2019 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები და მომზადდა შესაბამისი ანგარიში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს გენერალური პროკურატურის ვებ-გვერდზე და ასახავს 2019 წლის სეგრეგირებულ სტატისტიკურ მონაცემებს, ინფორმაციას დაწყებული გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ, პროკურატურის მიღწევებს, გამოწვევებსა და გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის სამომავლო ნაბიჯებს.

2018 წელს შემუშავდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკის შეფასების ინსტრუმენტი და შემაკავებელი ორდერების მონიტორინგის მექანიზმი, რაც დამტკიცდა მინისტრის ბრძანებით. 2018-2019 წლებში, გამოძიებულებისთვის ოჯახური დანაშაულის მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიების ეფექტიანად წარმართვის

მიზნით, შემუშავდა რეკომენდაციები. 2019 წელს, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულების ზედამხედველობის წესი. ასევე, შემუშავდა მოძალადის მსხვერპლისაგან განრიდების ინსტრუქცია და რეკომენდაცია ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებისა და პოლიციელის მიერ შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე.

საქმიანობა 2.1.15. განზოგადება/კვლევა შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენების პრაქტიკის თაობაზე საერთო სასამართლოების გადამწყვეტილებებში;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს უზენაესი სასამართლო;

პარტნიორი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ჩაატარა კვლევა დამცავი ორდერების გამოყენების საკითხებზე სასამართლო პრაქტიკის მიხედვით.

საქმიანობა 2.2.1 სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის ჯანდაცვის მომსახურებების პროგრამული უზრუნველყოფა;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

2019 წლის რეფერალური მომსახურების პროგრამის ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა პოსტკოიტალური კონტრაცეფციით/სგგდ ტესტირებითა და მკურნალობით უზრუნველყოფა.

საქმიანობა 2.2.2 ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გაძლიერების უზრუნველსაყოფად სტანდარტული ოპერაციული პროცედურების დანერგვის პილოტური პროგრამის განხორციელება და მისი შედეგიანობის ანალიზი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით, სახელმწიფო ფონდის მიერ, ქალთა მიმართ ძალადობაზე/ოჯახში ძალადობაზე ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გასაუმჯობესებლად, 2016 წლიდან 2020 წლამდე, ახორციელებს პროგრამას - „ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი) ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე“ (Healthcare Response to DV/GBV). პროგრამის ფარგლებში 2016-2018 წლებში ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის გამოვლენის, მკურნალობის პრინციპებისა და რეფერალის საკითხებზე ჩატარდა ტრენინგები ჯანდაცვის მუშაკებისთვის (აღნიშნული პროექტის ფარგლებში 300-ზე მეტი ექიმი გადამზადდა). აღნიშნული პროექტის ფარგლებში ფონდმა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით, შეიმუშავა ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის გამოვლენის, მკურნალობის პრინციპებისა და რეფერალის საკითხებზე სახელმძღვანელო მითითებები (ჯანდაცვის მომსახურების განვითარების დარგთაშორისი რეაგირების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები).

ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ფაქტების აღრიცხვიანობის, გამოვლენის, შეფასებისა და შესაბამისი რეფერალის განსახორციელებლად შემუშავდა და მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით, 2018 წლის 9 იანვარს დამტკიცდა სამედიცინო დოკუმენტირების ჩანართი ფორმები სტაციონარულ და ამბულატორიულ ბარათებში. 2018 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით, გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის (მათ შორის, ოჯახში ძალადობის) და/ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი პაციენტის ამოცნობა/შეფასებისა და შესაბამისი დოკუმენტირების ფორმის დანერგვის მიზნით, პილოტური პროექტი მიმდინარეობდა მთელი კახეთის მასშტაბით - თელავის, ახმეტის, ყვარლის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში სოფლის ექიმების ბაზაზე. ასევე, თელავში „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკასა“ და თბილისში კლინიკა „კურაციოში“.

პროექტის „ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი) ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე“ ფარგლებში განხორციელდა პროექტის შედეგიანობის შეფასება, სადაც გაანალიზებულია კახეთის რეგიონისა და თბილისში მიმდინარე პილოტური პროგრამის შედეგები. შეფასება განხორციელდა დასახული მიზნების, შედეგების და გამოსავლის ინდიკატორების მიხედვით. კერძოდ კი შეფასებული იქნა: თუ რამდენად გაუმჯობესდა სამედიცინო პერსონალის ცოდნა და უნარჩვევები ოჯახურ და გენდერულ ძალადობასთან მიმართებით, ასევე ჯანმრთელობის სექტორის ინსტიტუციალური განვითარება და მისი უნარი მოახდინოს ეფექტური რეაგირება ოჯახური თუ გენდერული ძალადობის შემთხვევებზე. შეფასებისას ასევე მოხდა შემდეგი შედეგების შესწავლა: პირველი და მეორე დონის სამედიცინო დაწესებულებათა პერსონალის ტრენინგი, კახეთის რეგიონსა და თბილისში პილოტური პროგრამის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ-ის) დანერგვა და შესაბამისი დოკუმენტირების ფორმების გამოყენება, ჯანმრთელობის სისტემის მზაობა დროულად გამოავლინოს ქალთა მიმართ ოჯახური თუ გენდერული ნიშნით ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევები და გაატაროს პრევენციული ღონისძიებები.

პილოტურ პროექტზე დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა დოკუმენტირების ფორმების კორექტირების საჭიროება. შესაბამისად, 2019 წლის ბოლოს მომზადდა სათანადო ცვლილებების პროექტები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს № 01-41/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესსა“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის № 108/ნ

ბრძანებით დამტკიცებულ „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესში“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცდა 2020 წლის 27 იანვარს.

საქმიანობა 2.2.4 კრიზისული ცენტრების ქსელის გაფართოება რეგიონებში და სახელმწიფო ფონდის ქვეშ არსებული თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

2019 წლის 27 თებერვალს, სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფარგლებში, ქ.მარნეულში გაიხსნა ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრი.

საქმიანობა 2.2.5 მსხვერპლთა ფსიქოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური, რეაბილიტაციის სტანდარტიზების სახელმძღვანელოების შექმნა და დანერგვა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

2017 წლის ივლისში სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ გადაიხედა, განახლდა და დაიხვეწა მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის არსებული რეაბილიტაციარეინტეგრაციის (შემთხვევის მართვა) გეგმები. აღნიშნულ გეგმებში დეტალურად იგეგმება თითოეული ბენეფიციარისათვის (მათ შორის ბენეფიციარზე დამოკიდებული პირების) საჭირო მომსახურებები და განისაზღვრება მისი განხორციელებისათვის საჭირო აქტივობები. 2017 წლის დეკემბერში სახელმწიფო ფონდმა უზრუნველყო სახელმწიფო ფონდის ბენეფიციარებთან სოციალური მუშაობის, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის/დახმარების და ეკონომიკური რეაბილიტაციის შესახებ სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება, რაც ასევე მოიცავდა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ბენეფიციარის პირადი საქმეებისთვის განკუთვნილი ფორმების გაუმჯობესებას/დახვეწას. შესაბამისად, სახელმძღვანელო მითითებების ინტეგრირება შინაგანაწესებსა და რეაბილიტაციარეინტეგრაციის (შემთხვევის მართვის) გეგმებში და მათი დანერგვა პრაქტიკაში(საქმიანობაში) ხორციელდება 2018 წლიდან. 2019 წელს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის და სოციალური მუშაობის სახელმძღვანელოებში ინტეგრირდა ბავშვებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობის სპეციფიკური საკითხები.

საქმიანობა 2.2.7 დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულების, მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

2019 წლის 11 დეკემბრიდან ამოქმედდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მე-100 ბრძანება დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულების ზედამხედველობის წესის დამტკიცების თაობაზე. აღნიშნულის ბრძანების შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილი მოსამსახურეების მიერ ხორციელდება აღნიშნული ორდერების მონიტორინგი, რომლის თაობაზეც დგება ამავე ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი ოქმები.

საქმიანობა 2.2.8 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სსიპ - 112-ში შემოსული შეტყობინებების ანალიზი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს „112“ და ამავე სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს შორის შეთანხმების საფუძველზე, 2018 წლიდან მიმდინარეობს მუშაობა 112-ში ოჯახში ძალადობის თემაზე შემოსული ინფორმაციის დამუშავების მიზნით, რომელიც ყოველთვიურად მიეწოდება ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს. ინფორმაციის დამუშავების მიზნით განხორციელდა კონკრეტული ფუნქციონალების გამართვა, როგორც 112-ის, აგრეთვე მომიჯნავე სამსახურების სამუშაო პროგრამებში. 2019 წლის საანგარიშო პერიოდში მომზადდა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული 12 თვის სტატისტიკური მონაცემები.

საქმიანობა 2.2.9 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების ინსტრუმენტის შექმნა და დანერგვა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2018 წელს შემუშავდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკის შეფასების ინსტრუმენტი და შემაკავებელი ორდერების მონიტორინგის მექანიზმი. რისკების შეფასების ინსტრუმენტი წარმოადგეს სპეციალურ

კითხვარს, რომელიც ინტეგრირებულია შემაკავებელი ორდერის ოქმში და რომლის შევსებაც სავალდებულოა ფაქტზე რეაგირებისას. კითხვარის პასუხები შეფასებულია ქულებით, რომელთა ჯამის მიხედვით შესაძლებელია გამოიკვეთოს მოძალადისგან მოსალოდნელი რისკის დონე.

მიზანი III. საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ;

საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით განხორციელებული საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები დეტალურად განისაზღვრება უწყებათაშორისი კომისიის საკომუნიკაციო სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით;

ამოცანა: 3.2. საზოგადოების ცნობიერება ამადლებულია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებსა და სახელმწიფო სერვისების შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: 3.2.ა მოსახლეობის წილი (ასაკისა და სქესის მიხედვით), რომელსაც მიაჩნია, რომ ქალი უნდა ემორჩილებოდეს პარტნიორს, მაშინაც კი როდესაც არ ეთანხმება მას;

საბაზისო: განისაზღვროს 2018 წელს;

სამიზნე: შემცირება 10%-ით;

(**წყარო:** ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა / საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია);

ინდიკატორი 3.2.ბ. მოსახლეობის წილი (ასაკისა და სქესის მიხედვით), რომლისთვისაც ცნობილია კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;

საბაზისო: განისაზღვროს 2018 წელს;

სამიზნე: ზრდა 10%;

(**წყარო:** ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა / საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია).

ინდიკატორი 3.2.გ მოსახლეობის წილი (ასაკისა და სქესის მიხედვით), რომლისთვისაც ცნობილია ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების შესახებ შესახებ;

საბაზისო: განისაზღვროს 2018 წელს;

სამიზნე: ზრდა 10%;

(**წყარო:** ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა / საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია).

საქმიანობა 3.1.2 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის განმახორციელებელი და მომსახურების მიმწოდებელი უწყებების მიერ, წინამდებარე სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, ყოველწლიური შიდა სამოქმედო გეგმის შემუშავება/ დამტკიცება ან უკვე არსებულ შიდა ინსტიტუციურ სამოქმედო გეგმაში ინტეგრირება;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა;
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ფუნქციონირებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე დროულ რეაგირებასა და გამოძიების ეფექტიანობას უზრუნველყოფს. ამასთანავე, დეპარტამენტი უზრუნველყოფს აღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით სხვადასხვა პრევენციული ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებას.

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რომელიც 2017 წელს დამტკიცდა, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ სისხლის-სამართლებრივი მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებისა და აღნიშნული დანაშაულის პრევენციის მიზნით შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრა: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების გამოვლენის მექანიზმების გაუმჯობესება; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება; სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოება; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების შემცირება; პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება; ასევე, სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობის გაღრმავება და პრევენციულ ღონისძიებებში საზოგადოების ჩართვა. პროკურატურა აქტიურად მუშაობს სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი სამთავრობო კამპანიის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრმა 2019 წლის 3 დეკემბრიდან 6 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, 4 ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი) ჩაატარა 3 საათიანი ტრენინგი „სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ“ 5 ჯგუფისთვის, რომელსაც დაესწრო ჯამში 63 (53 ქალი/10 კაცი) დაინტერესებული პირი.

საქმიანობა 3.1.3. მოძალადე მსჯავრდებულებისთვის ქცევის კორექციის პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) „გაერო“-ს ქალთა ორგანიზაციისა და ა/ო „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ ფინანსური მხარდაჭერით შემუშავდა „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი“ და მიმდინარეობს განხორციელება. „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსში“ ჩაერთო და სრულიად გაიარა 125-მა პირობით მსჯავრდებულმა; ხოლო ძალადობის რაობა და ძალადობისგან დაცვის საკანონმდებლო მიმოხილვა (ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ტრენინგი) გაიარა 30-მა პირობით მსჯავრდებულმა.

ესპანურ მოდელზე დაყრდნობით და ესპანელი ექსპერტის ჩართულობით გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2018-2019 წლებში, სააგენტოს სისტემისთვის განახლდა, ხოლო პენიტენციური სისტემისთვის შეიქმნა ერთობლივი „მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამა“.

2019 წელს პროგრამა წარმატებით პილოტირდა ორივე სისტემაში. 2019 წელს, N16 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში, „მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამაში“ ჩართული იყო 10 ბენეფიციარი.

საქმიანობა 3.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ან/და ტრენინგების განხორციელება;

შესრულების სტატუსი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; შინაგან საქმეთა სამინისტრო - განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სატელევიზიო და რადიო გადაცემებში, შეხვედრებს მართავენ სხვადასხვა რეგიონის ადგილობრივ მოსახლეობასთან, სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან. ჩატარდა საინფორმაციო კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის, შეხვედრები რეგიონის მოსახლეობასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის

წარმომადგენლებთან, სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირებთან. დარიგდა შესაბამისი ბუკლეტები. ამავე კამპანიის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებისთვის ჩატარდა ესეების კონკურსი.

განხორციელდა ოჯახური ძალადობის საკითხების ინტეგრირება სამშვიდობო ოპერაციების გადასროლისწინა მომზადების, აგრეთვე გადასროლის შემდეგ რეაბილიტაციის პროგრამებში. ასევე, სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიასთან თანამშრომლობით, თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომელთათვის პერიოდულად ხორციელდება ტრენინგი თემაზე: „ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები“.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, 2019 წლის ნოემბერში ჩატარდა მოსწავლეთა პოსტერების კონკურსი „არა ბულინგს“. ამჟამად მიმდინარეობს მოსწავლეთა ესეების კონკურსი თანასწორობის საკითხებზე. აღნიშნული კონკურსების ფარგლებში წარმოდგენილ საკონკურსო ნამუშევრებში მოზარდებმა გამოხატეს საკუთარი ხედვა და დამოკიდებულება ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა: ადამიანის უფლებები, ძალადობის, მათ შორის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ადრეული ქორწინება და სხვა. კონკურსებში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების VII-XII კლასის მოსწავლეები. საუკეთესო ნამუშევრების ავტორები დაჯილდოვდნენ/დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით. აღნიშნულ თემატიკაზე სასკოლო კონკურსების განხორციელება იგეგმება მომავალშიც.

რაც შეეხება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განხორციელდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ან/და ტრენინგები სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის:

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორი;
- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საქმიანობა 3.2.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებსა და არსებულ სახელმწიფო მომსახურებებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო, სპორტული ან/და შემოქმედითი ღონისძიებების განხორციელება თბილისსა და რეგიონებში, განსაკუთრებით, უმცირესობის წარმომადგენლებთან;

შესრულების სტატუსი: საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - განხორციელდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში 2018-2019 წლებში არაერთი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრების მიზანი იყო ქალთა მიმართ და ოჯახში ჩადენილი ძალადობის კუთხით მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა, ასევე, ამ კუთხით მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის გაცნობა. კამპანიის ფარგლებში სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები. კამპანიის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა როგორც საერთაშორისო, ისე თემატურ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. 2019 წლის 9 დეკემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის თანამშრომლებისთვის სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა ჩაატარეს 2 შეხვედრა - სექსუალური შევიწროვებისა და ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის თემებზე 2019 წელს ჩატარდა 64 შეხვედრა (მათ შორის შეხვედრები ჩატარდა სამი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში), რომელსაც ესწრებოდა ადგილობრივი მოსახლეობა, მოსწავლეები, პედაგოგები, სტუდენტები, აღნიშნულ შეხვედრებს დაესწრო დაახლოებით 3200 ადამიანი. 2019 წლის მარტში ქალთა უფლებების კვირეულის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა საქართველოს რვა ქალაქში ამერიკული კუთხის ოფისებში, ოჯახში ძალადობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრები გამართეს.

2019 წელს ევროპის საბჭოს ცნობიერების ამაღლების კამპანიის „მე ვირჩევ თანასწორობას“ ფარგლებში საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა სხვადასხვა ქალაქში 7 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

2019 წელს საქართველოს მთავრობის გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული

კამპანიის ფარგლებში, საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით საერთო ჯამში 24 საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა.

2019 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს ორგანიზებით, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ევროპის საბჭოს კამპანიის „მე ვირჩევ თანასწორობას“ ფარგლებში, პროკურორებმა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სტუდენტებს უმასპინძლეს. ტრენინგზე განიხილეს დისკრიმინაციის და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 25 სტუდენტის მონაწილეობით ჩატარდა გუნდური პრეზენტაციები. ქალთა პრობლემებს, ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობას ეხება ა. ყაზბეგის ნაწარმოების „განკიცხულნი“-ს მიხედვით დადგმული სპექტაკლი „განკიცხულნი“ (რეჟ. მამუკა ცერცვაძე), რომელიც 2019 წელს, სსიპ - ქ. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში დაიდგა.

მსგავსი თემატიკის პრობლემებს ასახავს ახალგაზრდა ქართველი დრამატურგის, ალექსი ჩიღვინაძის პიესა: „მარინა რევია“. აღნიშნული ნაწარმოები წარმატებით დაიდგა სხვადასხვა თეატრებში. 2019 წელს, პიესა სსიპ - ქ. ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში დაიდგა, ნიკა ჩიკვაძის რეჟისორობით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, მუზეუმებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- სსიპ - დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი - „მშვიდობის პრემია“ - ევროპის დღეს, ზუგდიდმა ევროპელებს უმასპინძლა: ავსტრიის ელჩი საქართველოში, ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის ინსტიტუტი, ჰააგა, ქალთა ქსელი მშვიდობისთვის, ბონი - წარმომადგენლები ქალაქისა და დადიანების სასახლის სტუმრები იყვნენ. დაარსდა მშვიდობის პრემია, რომელიც არის პირველი ჯილდო საქართველოში და მას პირველი ნობელიანტი ქალის, ბერტა ფონ ზუტნერის სახელი მიენიჭა. ევროპელი მშვიდობისმყოფელი და მწერალი ბერტა ზუტნერი საქართველოში 9 წელი ცხოვრობდა და დადიანებთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა. დადიანების სასახლეში დაცულია ნიგნი „ძირს იარაღი“, პირველი გერმანული გამოცემა, რომელიც თავად ზუტნერმა ზუგდიდს უსახსოვრა;
- სსიპ - ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი - 8 მარტი - დროებითი გამოფენა „გაზაფხული ფერები“, რომელიც ქალთა დღეს მიეძღვნა;
- სსიპ - ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმი - 3 მარტი - დედის და ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული წრის წევრების ღონისძიება;
- სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა ქალთა საბჭოს ტრადიციებს საქართველოში.

მოცემული აქტივობის ფარგლებში, პენიტენციურ სისტემაში დანერგილია ფსიქო-სოციალური ტრენინგი „სტიგმა და დისკრიმინაცია“, რომელსაც მსჯავრდებულებისათვის ატარებენ დაწესებულებაზე მიმავრებული სოციალური მუშაკები. თემატური ტრენინგები, მათ შორის გენდერს და ამ ნიშნით ძალადობის თემას, ეხება სხვადასხვა მოწყვლად

ჯგუფებს. 2019 წელს ტრენინგში „სტიგმა და დისკრიმინაცია“ პენიტენციურ სისტემაში ჩართული იყო 62 მსჯავრდებული.

2019 წლის იანვრიდან სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა ესკორტის ოფიცრებისთვის ორგანიზებას უწევს „ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსს“. კურსის ფარგლებში, ინტეგრირებულია 3 საათიანი ტრენინგი თემაზე „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებები“. ტრენინგი მაქსიმალურად ითვალისწინებს მიზნობრივი ჯგუფის სპეციფიკას და საქმიანობის თავისებურებებს, ემსახურება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართ მოსამსახურეთა მგრძობელობის ამაღლებას და ინფორმირებას. 2019 წელს სპეციალური მომზადების კურსის ფარგლებში დასახელებული ტრენინგი გაიარა ესკორტის 130 ოფიცერმა.

2019 წელს, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი სამთავრობო კამპანიის ფარგლებში ჩატარდა სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ უფასო ტრენინგები და გამოცხადდა სტუდენტებისთვის ესეების კონკურსი. 2019 წელს სამთავრობო კამპანიის მთავარ თემად განსაზღვრული იყო სექსუალური შევიწროება, რაც განაპირობა საქართველოს პარლამენტის მიერ მაისში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა.

სპეციალური მოდულის გამოყენებით, სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ტრენინგი სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტრენინგებმა ჩაატარეს თბილისში, რუსთავში, ბათუმში და ქუთაისში. უფასო ტრენინგებს 5 ჯგუფში დაესწრო ჯამში 63 მონაწილე (53 ქალი/10 კაცი). საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრთან ერთად, 16-დღიანი სამთავრობო კამპანიის ფარგლებში, ესეების კონკურსს სექსუალური შევიწროების ფენომენტთან დაკავშირებით ახორციელებს. პროექტის მიზანია სექსუალური შევიწროების ფენომენტის და არსებული კანონმდებლობის შესახებ სტუდენტების ცოდნის გაღრმავება და ცნობიერების ამაღლება.

ესეების კონკურსში მონაწილეობის სურვილი, 2019 წლის 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე, საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ნებისმიერი ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის, ასევე, მაგისტრატურის აქტიური სტატუსის მქონე 26-მა სტუდენტმა გამოთქვა. მათთვის 2019 წლის 20 დეკემბერს სექსუალური შევიწროების ფენომენტის შესახებ ლექცია-ტრენინგი მოწვეულმა ექსპერტმა ჩაატარა. 2020 წლის 19 იანვარს ესეების კონკურსის თემაზე დარეგისტრირებულმა 10-მა სტუდენტმა საკუთარი ნაშრომი წარმოადგინა. წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, საუკეთესო შედეგების მქონე 3-მა სტუდენტმა 2020 წლის 20 თებერვლამდე, კონფერენციის ფარგლებში, ესეები წარმოადგინეს.

ტრეფიკინგის ფონდის მიერ (მათ შორის ფონდის პროექტის „საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“(USAID) ფარგლებში (დასრულდა 2019 წლის ივლისში)), ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებსა და ფონდის მომსახურებებზე (უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან) ჩატარდა შემდეგი საინფორმაციო შეხვედრები:

- 22 იანვარს, ქვემო ქართლის რეგიონის, მარნეულის მუნიციპალიტეტის, მარნეულის N8 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, აზერბაიჯანული სექტორი (მონაწილეთა რაოდენობა-65);
- 1 თებერვალს, ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან (მონაწილეთა რაოდენობა-15);

- 4 თებერვალს, მარნეული, საზღვრისპირა სოფელი ახკერპის, ოფრენის და ხორონჯის სკოლის მოსწავლეებთან (მონაწილეთა რაოდენობა-85);
- 5 თებერვალს, ხაშურის და დუშეთის სკოლის მოსწავლეებთან/სტუდენტებთან (მონაწილეთა რაოდენობა-85);
- 8 თებერვალს, გარდაბნის რაიონის, სოფელი გამარჯვების და სოფელი ყარაჯალას სკოლის მოსწავლეებთან (ეთნიკური უმცირესობა) (მონაწილეთა რაოდენობა-105);
- 8 თებერვალს, სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის ახალგაზრდებთან (მონაწილეთა რაოდენობა - 50);
- 13 თებერვალს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუს) საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებთან (მონაწილეთა რაოდენობა - 20);
- 14 თებერვალს, ახმეტის რ-ნის, სოფელი მატანის N1 და N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან (მონაწილეთა რაოდენობა - 50);
- 15 თებერვალს, ბაკურიანისა და წაღვერის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან (მონაწილეთა რაოდენობა - 40);
- 20 თებერვალს, დუშეთის რაიონის, ბაზალეთისა და საშაბეროს საჯარო სკოლის მოსწავლეებთან (მონაწილეთა რაოდენობა - 55);
- 22 თებერვალს, ქვემო ქართლის რეგიონის, მარნეულის მუნიციპალიტეტის, მარნეულის N8 და N4 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან (ეთნიკური უმცირესობა) (მონაწილეთა რაოდენობა-105); 12 მარტს, მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის "ელიტი" პედაგოგებთან და მოსწავლეებთან (მონაწილეთა რაოდენობა - 19);
- 27 მარტს, ქვემო ქართლის რეგიონის, მარნეულის მუნიციპალიტეტის, მარნეულის N2 და N3 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან (მონაწილეთა რაოდენობა-70)
- 13-15 მაისს, ბათუმი, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საზღვაო უნივერსიტეტის სტუდენტებთან (მონაწილეთა რაოდენობა - 35);
- 21 მაისს, თბილისი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან (მონაწილეთა რაოდენობა - 24);
- 4 ნოემბერს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტებთან (მონაწილეთა რაოდენობა -11);
- 24 დეკემბერს, შეხვედრა ლტოლვილ ქალებთან (დამსწრეთა რაოდენობა - 12).

შერიგებისა და სამოქალაქო თანახმობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, სახელმწიფო ფონდსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში განხორციელდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრები:

- 6 მარტს, ხაზისპირა სოფელი ქვემო ქალას ადგილობრივ მოსახლეობასთან (მონაწილეთა რაოდენობა 24);
- 28 მარტს, ხაზისპირა სოფელი ატოცის ადგილობრივ მოსახლეობასთან (მონაწილეთა რაოდენობა - 22);
- 24 ოქტომბერს, ხაზისპირა სოფელი ქვემო კოშკას ადგილობრივ მოსახლეობასთან (მონაწილეთა რაოდენობა - 15).

გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში (2019 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის პერიოდში) თბილისსა და რეგიონებში (გორი, ქუთაისი, ოზურგეთი, მარნეული, სიღნაღი, ბათუმი) გაიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელთა მიზანსაც პრობლემის აქტუალიზაცია და ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა წარმოადგენდა. ღონისძიებებს ჯამში 1000-ზე მეტი ადამიანი დაესწრო, გავრცელდა საინფორმაციო მასალები საკონსულტაციო ცხელის ხაზის ნომრის (116 006) გამოსახულებით. შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, სამართალდამცავი ორგანოების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ასევე - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები.

2019 წელს ქვემო ქართლის რეგიონში ჩატარდა 2 საინფორმაციო შეხვედრა: 1) მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია; 2) დმანისის მუნიციპალიტეტის კარაბულახის ადმინისტრაციული ერთეული (შედის 10 სოფელი).

გარდა ამისა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებულ, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისათვის სოციალური პროგრამების გაცნობის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის სოციალური პოლიტიკის სამმართველოს მიერ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩატარდა 4 შეხვედრა: ახალქალაქის მუნიციპალიტეტის - სოფ. სულდა, კარტიკამი; ასპინძის მუნიციპალიტეტი - სოფ. დამალი, დაბა ასპინძა.

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის“ 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სულ ჩატარდა - 6 საინფორმაციო შეხვედრა.

საქმიანობა 3.2.2.1 ეთნიკურ უმცირესობებთან წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრა;

შესრულების სტატუსი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური - განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

საანგარიშო პერიოდში 3 შეხვედრა გაიმართა ეთნიკურ უმცირესობებთან ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირებულობის კუთხით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტთან და სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშროლობით. შეხვედრები ჩატარდა სიღნაღის (იორმუღალო) მუნიციპალიტეტში - მონაწილეობდა 10 ქალი და 15 კაცი; მარნეულის (სადახლო) მუნიციპალიტეტში - მონაწილეობდა 11 კაცი და 21 ქალი; ასპინძის (ასპინძა) მუნიციპალიტეტებში - მონაწილეობდა 35 ქალი და 14 კაცი. შეხვედრებზე განხილული იყო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ადრეული ქორწინების და სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომის საკითხები. სულ ინფორმირებულია 106 ადამიანი. პროექტის „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისთვის“ განხორციელების შედეგად (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის

აპარატის ინიციატივითა და USAID-ის მხარდაჭერით) 2018-2019 წწ. 282 შეხვედრა ჩატარდა 21 მუნიციპალიტეტის 196 სოფელში, შეხვედრას 7849 ბენეფიციარი დაესწრო. გამართული შეხვედრების შედეგად მოსახლეობას მიენოდა ინფორმაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ადრეული ქორწინებისა და ტრეფიკინგის საკითხებზე.

იურიდიული დახმარების სამსახურმა გამართა შეხვედრები ეთნიკურ უმცირესობებთან, კერძოდ: 2019 წლის 27 ივნისს სოფ. დაშბასა და ბეშთშენში, 2019 წლის 5 ივნისს სიღნაღის თავშესაფარში, 2019 წლის 25 ნოემბერს სოფ.იორმულანლოში, 2019 წლის 3 ივლისს სოფ. აფენსა და სოფ.ბაიასუბანში, 2019 წლის 14 აპრილს ქ.ცაგერში, 2019 წლის 10 აპრილს ქ.ფოთში, 2019 წლის 10 ივნისს დაბა ჭვარში, 2019 წლის 17 აპრილს სოფ. ლიაში, 2019 წლის 24 ოქტომბერს სოფ.შამგონაში, 2019 წლის 6 დეკემბერს სოფელ ფახულანში, 2019 წლის 28 ივნისს სოფ. დაგვაში, 2019 წლის 25 ივნისს სოფ. ფლავისმანსა და ყინწვისში, 2019 წლის 6 აპრილს სოფ. ქვემო ქალაში, 2019 წლის 27 ივლისს ქ.ასპინძაში.

საქმიანობა 3.2.2.2. ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან, მიგრანტთა დროებით განთავსების ცენტრის თანამშრომლებთან წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სამსახურმა გამართა 4 შეხვედრა ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან, მიგრანტთა დროებით განთავსების ცენტრის თანამშრომლებთან, კერძოდ: 1) 2019 წლის 3 ივლისს და 2019 წლის 9 ოქტომბერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ.მარტყოფში ჰუმანიტარული სტატუსის ლტოლვილთა თავშესაფარის თანამშრომლებთან; 2) 2019 წლის 3 ივლისს და 2019 წლის 9 დეკემბერს მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრის თანამშრომლებთან; აღნიშნულ პირებს ცნობიერების ამაღლების მიზნით გაენიათ სამართლებრივი კონსულტაციები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე და მიენოდათ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების, მათ შორის იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების შესახებ.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისათვის სოციალური პროგრამების გაცნობის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის სოციალური პოლიტიკის სამმართველოს მიერ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩატარდა 4 შეხვედრა: ახალქალაქის მუნიციპალიტეტის - სოფ. სულდა, კარტიკამი; ასპინძის მუნიციპალიტეტი - სოფ. დამალი, დაბა ასპინძა.

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის“ 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სულ ჩატარდა - 6 საინფორმაციო შეხვედრა.



Norwegian Ministry
of Foreign Affairs



ამ ანგარიშის ვიზუალური მხარე მომზადებულია ნორვეგიის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს სამდივნო და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ნორვეგიის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.

